ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 364

6 აგვისტო
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი (ნაკვ. 43/7) (ს/კ. №01.13.03.043.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, იმა ,,დიღომი 2007"-ის (ს/კ. 202469113) მიმართ დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი (ნაკვ. 43/7) (ს/კ. №01.13.03.043.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, იმა ,,დიღომი 2007"-ის (ს/კ. 202469113) მიმართ დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 5 აგვისტოს №21.1091.1235 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, იმა ,,დიღომი 2007"- ის (ს/კ. 202469113) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი (ნაკვ. 43/7) (ს/კ. №01.13.03.043.007) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №21.48.64, 28.01.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №24, 29.01.2021) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შემდეგი დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მხარდამჭერი ღონისძიებებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2 =10.1) ფარგლებში, გადამეტებული ფართის არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი ფართობის წილი განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობიდან შემდეგი

პროპორციით: 2 დონეზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა - არაუმეტეს 600 კვ.მ-ისა; ბოლო სართულზე დაშენებული საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა - არაუმეტეს 600 კვ.მ-ისა;

ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) დაუცველად, შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი სქემისა და ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**